სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/356

ქ. თბილისი                                                                 21 ნოემბერი 2019

**სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 31 ივლისის №01-05-04/224 დადგენილებაში – „კოსტავას 75 ნომერში მდებარე სახლის ფასადზე მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 31 ივლისის №01-05-04/224 დადგენილებაში – „კოსტავას 75 ნომერში მდებარე სახლის ფასადზე მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ შევიდეს ცვლილება. ცნობილი მეცნიერების და საზოგადო მოღვაწეების სიას – მერაბ თევზაძე, იუზა ვერულავა, თამაზ გეგეჭკორი დაემატოს გამოჩენილი მეცნიერი, სპორტსმენი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, სპორტის ოსტატი – ბიძინა პეტრიაშვილი;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე                    ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი                    გ. სალუქვაძე